საქართ. მუშარჩხენა სოც.-ფედერალისტთა სათავადო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

№ 141

სამშაბათი, თებერვლის 7

1922 წ.

ამხანაგები და მეგობრები აუწყებენ საზოგადოებას, რომ დღეს, თებერვლის 7-ს ნაშუადღევის 3 ს. ქაშვეთის ეკლესიაში გარდახდილი იქნება პანაშვიდი სპეტაკ პიროვნების, გორის გიმნაზიის მასწავლებლის

ვასო ნიკოლოზის ძე

მეგენეიშვილის

სულის მოსახსენებლად.

136

ღრმად დამწუხრებულნი: დედ-მამა ნინო ივანეს ასული, და კონსტანტინე იოსების ძე სვიმონიშვილები და ქმარი იესე ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, თებერვლის შვიდს ნაშუადღევს 4 ნახ. საათზე, ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში დანიშნულია და გადახდილ იქნება ორი წლის თავის პანაშვიდი დაუვიწყარი შვილის და მეუღლის

ელენე კონსტანტინეს ასულის

ბარათაშვილის

134

დაიბეჭდა და იყიდება

ლექსები. მეორე ტომი.

ი. გრიშაშვილი

ქ. შ. წ. კ. მაღაზიაში.
განათლების კანტორაში.
სტუდენტთა კოო—ში.

## საქართველოს პროფკავშირების ყრილობა

ტფილისში მრავალ საპროფესიო დარგის მუშაკთა კრებები, კონფერენციები და ყრილობები სწარმოებს. მუშათა ფართო მასსა ჩათრეულია დიდ საორგანიზაციო-სამშენებლო საქმეში და იქმნება ყველგან და ყველაფერში მუშათა სუვერენული ორგანოები.

ამ ქამად მუშათა სასახლეში საქართველოს ყველა პროფკავშირების ყრილობაა. აქ არჩეულ იქნება მუშათა ავტორიტეტიული მთავრობა, საბჭო, რომელიც ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობას და მუშათა ინტერესებს გაიხდის ზრუნვის და ბრძოლის უმთავრეს საგნად.

თავისთავად უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ყრილობის მოწვევას. ბოიკოტის ტაქტიკა, ყრილობების ჩაშლის პოლიტიკა, გულგრილობის გრძნობის გავრცელება მუშათა მასსაში და ამ გვარად საბჭოთა სისტემის ხიდაგზე აგებული ხელისუფლების განტკიცება—აი მიუდგომლად რეალური მნიშვნელობა ხსენებულ ყრილობებისა.

ყრილობების ამ გარეგნულს და თან უდროესად დიდ სახელმწიფო მნიშვნელობას აქ მთლად ხაზს ვუსვამთ. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ. პირდაპირი სადღესასწაულო ხასიათი, წარმოებაში ორგანიზებული მონაწილეობის ძიება, არსებულ მეტად ძნელ და რთულს პოლიტიკურ-ეკონომიურ კონიუნქტურისათვის თავის გარითმევა და შეგნებულად გატარება პროლეტარიატის ისტორიულ მიზნებისა—ყრილობის უმთავრესი დანიშნულება-მოვალეობაა.

ამ ძლიერად გამოთქმულ ოფორიულ დებულებებში ჩამარხულია საკითხის პრაქტიკულად გატარების სიძნელე, ახალმა ეკონომიურმა მდგომარეობამ საბჭოთა პროფკავშირებს სრულიად ახალი პირობები გადაუშალა. ახალ ეკონომიურ პოლიტიკამდე მუშათა მასსა წარმოების დარგში მხოლოდ და ისევ მუშათა წარმომადგენლებს ხედავდა; პროლეტარიატი გრძნობდა სიდუხჭირეს, მდგომარეობის სიძნელეს, მაგრამ ის ითვალისწინებდა მომენტს, მის კლასობრივს მდგომარეობას და „თავისი მთავრობისათვის“ ყველა ფრონტზე იბრძოდა თავგანწირულებით. ეხლა მდგომარეობა იმდენად იცვლება. ბურჟუაზიული ინტელიგენცია სპეცების სახით კვლავ წარმოუდგა მის წინაშე, რომელსაც დღეს მეტი პური უნდა მიეცეს, ძველი თანხები და ცხოვრების სხვა საშუალებანი. ამასთან ერთად პორიზონტზე გამოჩნდნენ ძველი ვაჭრები, არენდელები, ბიჟუტეკები, რომელთაც პროფკავშირები—თანაკავშირებელია— ისე ვერ ითვალისწინებენ, როგორც საკუთარ მთავრობას.

კომუნისტურ პარტიისათვის ეს პრობლემა მეტად მწვავედ სდგას. როგორც მკითხველებმა იციან რუსეთის კომპარტიამ ამის შესახებ გამოაქვეყნა საგანგებო თეზისები, რომელიც შეადგინა ლენინმა, რუდზუტაკმა, შლიაპნიკოვმა და სხ. ამ დაიკიდებულებაში სავსებით გამოსჭვივის ის დიდი კრიტიკული თვალსაზრისი, რომლითაც თანამედროვე მომენტს შეუქველად უნდა მიუდგეს მუშათა კლასი. კლასობრივი ბრძოლის პრინციპი დღეს ისევ იქერს პროფკავშირებში საპატიო ადგილს და იქ, სადაც კერძო კაპიტალის პიონერების შემოქმედებაა, პროფკავშირების მოვალეობას შეადგენს დარაჯად ჩაუდგეს მუშათა ინტერესებს.

ლენინის თეზისები გულისხმობენ ამავე დროს საგაფიცვო ფონდს, გაფიცვის პრინციპს და მის ორგანიზაციას. თუ ამ დებულებას ლოღიკურად განვავითარებთ, ეს ნიშნავს სახელმწიფოებრივ რეგულიარიზაციის პრინციპის უარყოფასაც საერთოდ ეკონომიურ ცხოვრების ყოველ დარგში. უნდა აღვნიშნოთ, მეტად მძიმე პირობები იქმნება მუშათა კლასის მუშაობისათვის: რაც შეიძება მეტი ნაყოფიერობა, რაც შეიძლება მეტი საქონელი, ამავე დროს კი ერთპიროვნული პრინციპი მართველობაში, ამ პრინციპის გავლენაც სურსათის, სამ რიგელის და სხვა დარგშიაც ქმნიან ძალიან პესიმისტურ ატმოსფერას, მუშათა კლასისათვის მეტად რთულსა და თავსატეხს.

დიდი შეგნება და თავგანწირვაა საჭირო. მართალია ახალი ეკონომიური პოლიტიკა დიდ ხვრელს ვერ აჩენს საბჭოთა ეკონომიკაში. ეხლაც უმთავრესი ძარღვი ეკონომიკისა თვით საბჭოთა ხელისუფლებაა, მაგრამ იმ სუსტი ინიციატივის შენახვაც საჭიროა, რომელსაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა იწვევს. ამ შემთხვევაში მუშათა მასსის კატეგორიებად დაყოფა, ერთისათვის კლასობრივი პრინციპის მიღება, მეორესათვის კი მხოლოდ მორიგება და უეჭველად შეთანხმება, მეტად რთულ კომბინაციას იწვევს. ჩვენ გვგონია, რომ საერთო, სახელმწიფოებრივის მასშტაბით გატარებული შრომის სარეგულიარიზაციო ნორმები უეჭველად უნდა გატარდეს და საყოველთაოდ ყველა მუშისათვის ერთნაირადვე სავალდებულო იყოს სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებანი.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად გაირკვევა ეს ძალიან თავსატეხი საკითხი ეხლანდელს ყრილობაზე. მისი ბურუსში დატოვება შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში ყრილობაზე არჩეულმა საბჭომ ეს საკითხი ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს და წინადადებებით სავსე ახალ პირობებს თავი გაართვას. წარმოებაში ეს საკითხი უმთავრესია, მისი აბნევა წარმოების აბნევაა, მთელი მუშათა მასსა დაწვრილებით და დაახლოვებით უნდა გაერკვეს ამ ძირითადს თანამედროვე პრობლემაში.

მაგრი.

## ქართველი მასწავლებლობა

„Выше живописца, выше ваятеля, выше всякого другого художника я считаю того, кто умеет образовать детскую душу“

И. Златоуст.

თავისუფალი აღზრდის თეორიის უმთავრესი პრინციპი, რომლის საგანსაც შეადგენს ბავშის შესწავლა, როგორც კონკრეტი ინდივიდის, იმდენად არასდროს არ იყო გამხდარი სოციალური მოთხოვნილების საგნად, რამდენადაც დღეს; თანამედროვე სოციალური რევოლიუციის დასაწყისის ხანაში თუ აღზრდის მიზანს შეადგენს ადამიანის ინდივიდუმის განვითარების კანონები და შექნას განვითარების ისეთი პირობები, რომელთაც შეძლება მისცემა კერძო პიროვნებას თავისი საკუთარი ინდივიდუალი ნიჭის გაფურჩქვნისა, ამავე დროს მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ის გარემოება, რომ ამ იდეალურ აღზრდის ობიექტიური პირობა და უმთავრესი ფაქტორი თავისუფალი აღზრდისა არის მასწავლებლობა. რამდენადაც უფრო კულტურულ-პოლიტიკური ნაიჯს სდგას ერი იმდენად უფრო მეტი ძალში მოთხოვნილება ახალ მეცნიერებაზე დაწყებისა.

ჩვენდა საუბედუროდ, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის განაპირა კუთხეში, ჯერ ვერ არის მოწყობილი რიგიანად სწავლა-განათლების საქმე. ცხადია, აქაც ტექნიკური პირობები უშლიან ხელს საქმეს, თორემ ამ საქმის რაციონალური მოწყობა ძლიერი იმპულსი იქნებოდა საზოგადოების უმეცრობის მოსასპობათ და ახალი სოციალისტური იდეების შეთვისება ადვილი გახდებოდა.

რუსეთის ბიუროკრატია და ბიუროკრატიული სკოლა თავისი არსებობის განმავლობაში ნელობით არ უყურებდა განათლების საქმეს.

აშკარაა ძველი სკოლა თავის პირდაპირ გავლენას არ აკლებდა არც ქართულ სკოლას, რომელიც რუსეთის „ჩინოვნიკური“ სკოლის გავლენას ქვეშ მთელი საუკუნე იმყოფებოდა.

ასი წლით რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმის ქვეშ მყოფი ქართველი საზოგადოება ასცდა თავის ნორმალურ ეროვნულ განვითარების გზას. მე XIX საუკუნის საქართველოს სწავლა განათლების ისტორია არის ისტორია რუსული სკოლის დამყარებისა და გაძლიერებისა საქართველოში, მართალია იყო თეორეტიული და პრინციპიალური ხასიათის წინააღმდეგობა ქართულ განვითარებულ საზოგადოებაში, მაგრამ ისე მკრთალი, რომ იგი საგანგეთო წერილს და ოფიციალურ კანცელარიულ მიწერ-მოწერებს არ სცილდებოდა.

რუსეთის თვითმპყრობელობა პოლიტიკურ სტრატეგიით სთვლიდა ქართულ სკოლას და გარუსების პოლიტიკას აწარმოებდა. ეს მდგომარეობა ძირიანად შეარყია იმავე რუსეთის დიდმა რევოლიუციამ, რომელ დროიდანაც იწყება განახლებულ საქართველოს, განახლებულ სკოლის ისტორია.

მეოთხე წელია, რაც ქართული სკოლა დამოუკიდებელ თავისუფალ ცხოვრებას ეწევა. ამდენივე ხანია, რაც ქართველი მასწავლებლობა დამოუკიდებელ ორგანიზაციას აწყობს.

მრავალი ახალი საკითხი წამოაყენა ჩვენმა სასკოლო ცხოვრებამ, თავისუფალი სოციალური აღზრდა, შრომის სკოლის პრინციპების რეალობად ქცევა და მისი პრაქტიკულად განხორციელება საქართველოში. ეს მორიგი ამოცანა ახალი სკოლის და ქართველი მასწავლებლობისა. აშკარაა, უმთავრესი როლი სკოლის რეორგანიზაციაში და ახალ ნებულ პრინციპების გატარებაში მასწავლებელს ეკუთვნის. „მასწავლებელი სული სკოლისა“ დისტერვეგის სიტყვით, რომ ვსთქვათ. მაგრამ როგორი იყო ამ „სულის“ უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა და როგორია დღეს?

მონარქიულ რეჟიმის დროს მასწავლებელთა ეკონომიურ ჩაგვრას უფლებრივი ჩაგვრაც ზედ ერთვოდა. იგი მოკლებული იყო მრავალ უფლებებს თავისუფალი მოქალაქისას და თავისი შრომის სასყიდლად მისი ნაყოფის ღირებულების მინიმალურ ფასს ღებულობდა.

მენშევიკური რეჟიმი ხომ აშკარა გამასხარავება იყო მასწავლებელთა უფლებისა. ამ დროს მასწავლებლობამ ის უფლებაც კი დაჰკარგა, რომლითაც ის ნიკოლოზის რეჟიმის დროს სარგებლობდა, მაგ. თუ წინეთ მასწავლებელი თავისუფალი იყო სამხედრო ბეგრისაგან, მენშევიკების დროს ეს უფლება მათ წაერთვათ. საკმარისი იყო მასწავლებელს ხმა ამოეღო და დაეცვა თავისი უფლება და მოეთხოვათ მატერიალი მხარის გამოკეთება, რომ წამსვე ის „შეუგნებელ მასსად“ აღიარებინათ (თვით პრემიერმაც ერთხელ) და „რკინის მინისტრ“-კანცლერებს ფეხის ბრაგუნით გამოესტუმრებინათ მასწავლებელთა დელეგაციები.

განათლების „სამინისტროს“ თავისუფალი თანხები არასდროს არ ქონდა, რომ დამშეულ-დაგლეჯილ მასწავლებელთა დიდ კადრს რაიმე დახმარება მიეღო მისგან. „მასწავლებელმა თვითონ უნდა შექმნას თავისი საარსებო პირობები“-ო —გაიძახოდა „რკინის“ მინისტრი მასწავლებელთა ყრილობაზე 1920 წ. დამდეგს. როგორ და რა გზით მოხერხდებოდა ეს, ამაზე არ მიუთითებდა იგი. და განა შესძლებს იდეალისტი მასწავლებელი „თავის არსებობის“ დაკმაყოფილებას სკოლის ოთხ კედელს შორის? მთელი მენშევიკური რეჟიმი ნებსით თუ უნებლიეთ არ იყო სკოლის და მასწავლებლის ხახარგებლოდ განწყობილი და ამ დაუდევრობის შედეგი, სკოლის და სწავლა-განათლების საქმის დაღუპვის კარამდის მიგვიყვანდა მოკლე დროში.

დღევანდელი მასწავლებლობა საბჭოთა საქართველოში მსახურებს. საბჭოთა პრაქტიკას თვრამეტი თვის ისტორია აქვს ჩვენში. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა სამოსწავლო საქმეშიც. შრომის სკოლას მხოლოდ ეხლა მიეცა საწყისი, რომელიც წინად კიდევ ოცნების ორბიტს არ გასცილებოდა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამ მხრივ ყოველივე გათავებულია. დღევანდელ საქართველოში მასწავლებლობა ეკონომიურ და სახელმწიფოს ყველა მოხელეზე უფრო დაბეჩავებულია, თუმცა დაუცილებლად სწარმოებს ცდა დღევანდელ ხელისუფლებისაგან მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა მშიერი და შიშველი მასწავლებელი ძირშივე სპობს უნებლიეთ თავის მოწოდებითი იდეას.

ამ მხრივ ბევრი ითქვა მიმდინარე პრესაში, თუ მასწავლებელი არ არის ეკონომიურად უზრუნველყოფილი, მას სკოლის ოთხი კედელი, ცივი ოთახი, და მტვერიანი წიგნი ვერაფერს ხალისს მოჰგვრის მუშაობისას.

ამ ქამად ტფილისში მასწავლებელთა ყრილობა სწარმოებს. მან ერთხელ და სამუდამოდ უნდა შექმნას ძლიერი პროფესიონალური ორგანიზაცია და საბოლოოდ გამოარკვიოს თავისი პოზიცია.

გ. თავზარაშვილი.

## რევოლიუცია და ინტელიგენცია

(დასასრული)

წვრილმა ინტელიგენციამ შეიგნო, რომ რევოლიუციამ მათ სავსებით დახურა სავალი გზები და მათი არსებობის აუცილებელი პირობა შეიქნა რევოლიუციის აღიარება და მისი სიძლიერის წინაშე ქედის მოხრა. ჩვენ ამათ ვერთ გამოვტყდეთ ჩვენს შეცდომებში,—გაიძახიან ავტორები,—და შევსცვალოთ ვენი გზათ. ეს ახალი გზა საბჭოთა სისტემით მიემართება. რუსეთის ინტელიგენციის ნაწილი დიდი ხნის ბრძოლისა და ენერგიის დახარჯვის შემდეგ, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის ხსნა შესაძლებელია დღევანდელს პირობებში მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების საშუალებით, რომ ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია რუსეთი გამოიყვანოს გაჭირვებულ მდგომარეობიდან არის მშრომელთა დიქტატურა. რევოლიუცია ღრმად შეიჭრა რუსეთის ცხოვრებაში, გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებანი და ხელისუფლებელი საბჭოთა ძველი ხიდო. „Памятников или вовсе никому не поставят, или поставят их Ленину“. ამბობენ „ვეხის“ ავტორები.

რუსეთის ინტელიგენციის ნაწილმა შეიგნო რევოლიუციის ძლევა-მოსილება და მას, ამის შემდეგ, აღარ სურს უთავბოლო ბრძოლაში დახარჯოს თავისი ენერგია. წინააღმდეგ მას სურს აქტიური მონაწილეობა მიიღოს რევოლიუციის განმტკიცებასა და საბჭოთა მშენებლობის პროცესში, რომ არ დარჩეს ახალი რუსეთის შექმნის დროს მის გარეშე და არ დაიმსახუროს მოდგა-

ლატის სახელი. „შინ, კანოსისაკენ“, გაიძახიან პრაგელი ემიგრანტები და ამით სრულიად ახალი ლოზუნგი შეაქვთ რუსეთის ინტელიგენტურს წრეებში. გვიან, მაგრამ მაინც გაბედულად.

ინტელიგენცია შეუდგა თავისი წარსული ნამოღვაწარის დაგმობას და საბჭოთა სისტემასთან და რევოლიუციასთან შეერიგებული ახალი პოზიციის გამომუშავებას.*)

რუსეთის ინტელიგენციის თანამედროვე ისტორია დიდ მაგალითს აძლევს ყველა მას, ვისაც სურს ხალხის ნამდვილს სამსახურში გაატაროს თავისი დღენი და უთავბოლოდ არ დახარჯოს ენერგია. ახალი გზა ამ ინტელიგენციისა მისაბაძი უნდა შეიქმნეს მათთვის.

ქართველ ინტელიგენციას არ ახასიათებს რუსეთის ინტელიგენციის თავდავიწყებითი ბრძოლა საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. მან უბრალო საბოტაჟიც ვერ გამოუცხადა ახალს ხელისუფლებას და თითქმის უკლებრივ დარჩა თავის მშობლიურს ნიადაგზე. ეს ფაქტი აღსანიშნავია, მაგრამ იგი მრავალმხრივ შეიძლება აიხსნას. მეორეს მხრივ ჩვენი ინტელიგენციის დიდ უმეტესობას არ ახასიათებს არც ის გაბედული აღიარება, რომლითაც გამოვიდნენ პრაგელი ემიგრანტები. „სმენა ვეხის“ ავტორებმა აღიარეს რევოლიუციის ძლევამოსილება და მისი აუცილებელი გამარჯვება საბჭოთა სისტემის საშუალებით. ქართველი ინტელიგენცია არ ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ არც მისი ხანგრძლივობა სწამს, იგი ილიუზიებითა და ქარებით ირთობს თავს და გარედან მოელის ხსნას. მას ყველაზე უფრო პასიური უკმაყოფილების გრძნობა და უმოქმედო ლოდინის პოზიცია ახასიათებს. ის არ ერევა აქტიურად საბჭოთა აღმშენებლობის პროცესში, მაგრამ არც აქტიურად ებრძვის მას; ორივე შემთხვევაში ჩვენს ინტელიგენციას პასივობის დაღი აზის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დრო არის ქართველმა ინტელიგენციამ თავი დააღწიოს ამ გამოურკვეველ მდგომარეობას და ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდეს მავნე ილიუზიებისაგან. რევოლიუციის ძლევამოსილება ფაქტი უნდა შეიქმნეს ყველასათვის და ყველამ თავი უნდა მოახაროს მის წინაშე, თუ არ სურს მოჯადოვის სახელი ატაროს. მაგრამ თუ პრაგელ ემიგრანტებს რევოლიუციის აღიარებაში სოციალური ოპორტუნიზმი და პატრიოტული შეგნებაც გამოადგა, ვფიქრობთ, ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ხალხისთვის ამ ფაქტორებს გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლიათ.

ჩვენთვის მიუღებელი და დამღუპველია ეროვნულად ძკაცრი სოციალური შეჯახებანი და სამოქალაქო ომები. მეორეს მხრით, ქართველი ერის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აყვავება, გაჯანსაღება შესაძლებელია მხოლოდ რევოლიუციის გზით, საბჭოთა მშენებლობის საშუალებით. მშრომელთა დიქტატურა და სოციალისტური მშენებლობა უნდა შეიქმნეს ჩვენი სამოქმედო პროგრამის მთავარი შინაარსი. კაპიტალისტური მეურნეობა და იმპერიალიზმი სრულს განადგურებასა და დაჩიავებას უქადის ჩვენს ერს. ჩვენი ეროვნული ორგანიზმი, მთელი ჩვენი მომავალი საშინელს მდგომარეობაში ჩავარდება მსოფლიო იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის გამარჯვებით. გზა პატარა და ჩამორჩენილ ერთა ხსნისა სოციალურს რევოლიუციაში, სოციალისტურს მშენებლობაში მარხია. ვისაც არ სურს ჩვენი ერის განადგურება, მან საბოლოოდ უნდა შეიგნოს ეს ხალასი ჭეშმარიტება და მთელი თავისი ენერგია მოახმაროს საბჭოთა ძალა-უფლების განმტკიცებას საქართველოში.

ვფიქრობთ, ქართველ ინტელიგენციისათვის ფსიხოლოგიურად საბჭოთა ძალა-უფლების აღიარება და ახალს სოციალურს მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება არ იქნება ძნელი.

თუ კოლჩაკ-ვრანგელის ყოფილმა მინისტრებმა და გენერლებმა შესძლეს ასეთი ფსიხოლოგიური ტრანსფორმა-

*) „სმენა ვეხის“ ავტორებში არიან კოლჩაკის მთავრობის ყოფილი მინისტრები და ხელმძღვანელები. (პროფ. კლიუჩნიკოვი, უსტრიალოვსკი, ბობრიშჩევ-პუშკინი და სხვ.)

ავტორი.

ციის გადატანა და თავიანთი თავი საბჭოთა სისტემის ქვეშ დააყენეს, ქართველ ინტელიგენციას, რომელსაც ასე თუ ისე რევოლიუციონური წარსული აქვს, ნაკლების ტკივილებით შეუძლია გადაიტანოს ეს ოპერაციები.

ცხოვრებას თავისი ლოღიკა აქვს. ამ ლოღიკის სიძლიერეს ვერ გაექცევა ჩვენი ინტელიგენციაც. ბოლოს და ბოლოს, იქულებული ილიუზიების გაფანტვის შემდეგ, ისიც იქნება, თუ მას არ უნდა ცხოვრებიდან გარიყული იქმნეს, რუსეთის ინტელიგენციის ნაწილივით აღიაროს სოციალისტური რევოლიუციის ხიძლიერე და საბჭოთა მშენებლობის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

რაც ადრე მოხდება ეს, მით უფრო უკეთესი იქნება ჩვენი ხალხისა და ჩვენი ეროვნული წარმატებისათვის, მით უფრო მოსაწონი და სასარგებლო ჩვენი ინტელიგენციისათვის.

# დოსტოევსკი

(დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო).

მე მიკვირს დოსტოევსკი რატომ არ სწერდა დრამებს. მისი დიალოგები წმინდა დრამატიულია და დახლართული გენიალური სიტყვის მოკვეთით.

პსიხიური გახცლა თვითეულ სახეების, უცნაური განცდა ადამიანის ინტელექტის, რომელიც ხშირად ფანტასმაგორიაში გადადის—ნიშანია იმის, რომ დოსტოევსკი უფრო დრამატურგია, ვიდრე რომანისტი.

დოსტოევსკი როგორც გრიგალი ისე ჰქვის დედა მიწის პირს და აჩენს ძიებებს, თითქო წარღვნის შემდეგ მოვლინებულს.

სასტიკი და ულმობელია დოსტოევსკი როგორც მწერალი. ეს უფრო ჯერ არსად ყოფილი და არსად დაბადებული ინკვიზიტორია, რომელიც შეუბრალებლად ადამიანის სხეულს ჰკვეთავს თავის ანატომიური დანით და ვით დიდებული პსიხიატორი ჰკურნავს ყოველ ატომს.

ამიტომ არის, რომ დღეს არც ერთი დოსტოევსკის ნაწერი არ არის რომ სცენაზე არ იდგმებოდეს და არ გამხდარიყოს ობიექტის საგნად.

შექსპირის შემდეგ, მსოფლიოს ლიტერატურამ არ იცის ისეთი დიალოგი, როგორც დოსტოევსკის. დოსტოევსკი მეორე შექსპირი იქნებოდა რომ მას ჰქონოდა შექსპირის ტექნიკა და ის დრამატიული ხლართი და ინტრიგა. დოსტოევსკისაც აქვს ძლიერი დრამატიული ხლართი, (თუ გინდ „კარამაზოვებში“) მაგრამ მისი ხლართი არ არის შექსპირის გენიალურ ტექნიკით დაწყობილი.

მიუხედავად ამისა უდიდესია დოსტოევსკის დიალოგი. ცნობილია მარმელადოვის მონოლოგები და ან ივანე კარამაზოვის კოშმარული ბოდვა უკიდურეს ტრაგიზმით სავსე. აქ დიდებული მწერალი სცილდება ყოველივე პრიმიტივობას და ჩვენ წინ სდგას, როგორც დიდი ფენომენი და გამოუცნობი სფინქსი.

დოსტოევსკის ფანტასტიური სახეები თავისთავად თხოულობენ რამპის სინათლეს. ეს იმიტომ, რომ აქ უფრო მეტი განათებით წარდგნენ და გადაშალონ თავისი უცნაური ბუნება.

დოსტოევსკის „კარამაზოვები“ ეს ტრაგედიაა ნამდვილი. და მისტიური სახით იხლება მთელი რუსეთის ბუნება, სადაც „ჩამავებული ასოებით სწერია: „კარამაზოვშჩინა“ და „ატავისტური დაწყევლა“.

ამბობენ, რომ დოსტოევსკი ცრუ წინასწარმეტყველი იყო თავის ქვეყნისას, მაგრამ შესცდნენ ამის მთქმელნი. დოსტოევსკი ნამდვილი წინასწარმეტყველი გამოდგა რუსეთის.

დოსტოევსკიმ ერთი საუკუნეზე ადრე იგრძნო რაც უნდა მომხდარიყო რუსეთში.

დოსტოევსკიმ უფრო ყველაზე ადრე წაუკითხა სიკვდილის განაჩენი ძველ რუსეთს. მწერალმა წინასწარ აწერებით განსჭვრიტა ის, რაც უნდა გადავარდნილიყო რევოლიუციის პროცესში.

არავის ისე არა სძაგდა რუსეთი, როგორც დოსტოევსკის და ამავე დროს იქნება რუსეთი ისე არავის უყვარებია, როგორც დოსტოევსკის. და ამაში იყო დიდებულ მწერლის დიდებული ტრაგედია.

„რისთვის გვიყვარს ეს რუსეთი? მე მძაგს ეს რუსეთი“—ათქმევინა მწერალმა თედორე კარამაზოვს და ამავე დროს ღვინით გალეშილს და გახელებულ მარმელადოვს აჩოქებს ხატის წინ დოსტოევსკი და გვეუბნება: „მაპატიე მშობელო ქვეყანავ! ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვართ შენ წინაშე. ნუ დაგვსჯი იმიტომ, რომ არაგვესმისრა, არავიცით რაო“.

ორმა დიდებულმა ადამიანმა დაიტირეს ძველი რუსეთი: დოსტოევსკიმ და სკრიაბინმა, ორივენი დიდებული რევოლიუციონერები იყვნენ და ორივენი სატანისტური სიძლიერით შეიჭრნენ რუსეთის ღისჰარმონიაში.

რა არის დღეს და, რა იქნება ხვალ? ძნელია პრობლემატიური საკითხების გადაჭრა, მაგრამ ჯერ კიდევ საშინელი სახეები ისევ მოევლინებიან რუსეთს და კვლავ გამოვლენ რამპის წინაშე: ათეისტი ივანე კარამაზოვიც, რომელიც მიესწრაფის ევროპის სასაფლაოებზე თვითეულ ქვის დასაკოცნათ, სმერდიაკოვი თავის გიტარით „სმერდიაშჩინა“, რასკოლნიკოვი თავის ცულით და ის „იდიოტი“ ეპილეპსიით შეპყრობილი, რომელიც მზადაა მაგარ სილებს ხან ერთი ლოყა მიუშვიროს, ხან მეორე.

და ასე მუდამ ჯოჯოხეთური გზნებით ივლიან დოსტოევსკის გმირები.

ვახტანგ გარრიკი.

# ახალი ამბები

— **ბირჟა.** უცხოეთის ვალიუტის კურსი ტფილისის კერძო ბირჟაზედ 2 თებერვალს (ათას მანეთებში):

| | |
|---|---|
| სტერლინგი | 1820 |
| ფრან. ფრანკი | 24 |
| იტალ. ლირა | 20 |
| ოსმ. ქაღ. ლირა | 300 |
| დოლარი | 927 |
| გერმანული მარკა | 3 |

— **კომუნისტურს პარტიის პრეზიდიუმი და სეკრეტარიატი.** გამოქვეყნებულ ცნობის მიხედვით, საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე არჩეულ ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმში შედიან: ფ. მახარაძე, ბ. მდივანი, ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, სილვა თოდრია, მიხეილ ოკუჯავა და პარმენ საბაშვილი. სეკრეტარიატში შედიან მ. ორახელაშვილი, პ. საბაშვილი და სამ. ძამულია.

— **განათლების მუშათა ყრილობა.** 1 ლ ყრილობა განათლების მუშაკთა დასრულდა 3 თებერვლის სადამოს სხდომაზე. არჩეულ იქნა გამგეობაში ამხ. ბუხშტეინი, გეგეჩკორი, ქატარავა, ქაცარავა, ქობულია, მამულაიშვილი, მარიამ ორახელაშვილი, პაატაშვილი, რუხაძე, ეფრემ ჩახუნაშვილი, თუმანოვი, პ. ჭანიშვილი და შაგერდოვისა. ხელოვნების მუშაკთაგან ამხ. ალექსანდროვი, დადვაძე, ეგინიანი, მოლჩანოვი, ედელსონი.

— **ახალი ხაზინა.** განზრახულია ხაზინის გახსნა ცხინვალში.

— **ხამოქალაქო მდგომარეობის აღმწერ აქტთა ცენტრალური განყოფილების ცნობა.** იანვარში დაბადებულია 91. გარდაცვალებულია 159. დაქორწინებულია 154. გაყრილია 30. გვარის გამოცვლა 6.

— **პარტახიანი სახადი და ყვავილი.** 1921 წლის 1 სექტემბრიდან 1922 წლის 1 თებერვლამდე ტფილისში პარტახიანი სახადით ავად გახდა 413. მათ შორის მორჩა 220. გარდაიცვალა 19.

— ყვავილით ამავე რიცხვებში ავად გახდა 93. მორჩა 45. გარდაიცვალა 18.

— ხუთშაბათს 9 თებერვალს ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქუჩა № 13 გაიმართება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მორიგი მეთორმეტე ლიტერატურული ხუთშაბათი. მოხსენებას წაიკითხავს ლეო ქიაჩელი „რომენ როლანი—ჟ ნ კრისტოფ“.

# უცხოეთი

**ბორდო.** 3 თებ. იტალიის მთავრობამ გასცა ბრძანება ტელეგრაფისა და ტელეფონის ურთიერთობისა ყველა ქვეყნებთან გენუას კონფერენციისათვის.

**ბორდო.** 4 თებ. პარიზში მოხდა პოლიტიკურ მოღვაწეთა და მთავრობის წარმომადგენელთა სხდომა მილიერანის თავმჯდომარეობით. სხდომას დაესწრო პუანკარეც. მსჯელობის საგნად იყო გენუას კონფერენცია.

**ლონდონი.** 20 იან. „მანჩესტერი გარდიანი“ აღნიშნავს, რომ გენუას კონფერენციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოსათვის. იგი მეორე პარიზის კონგრესია 1919 წლის, მაგრამ უფრო დიდი მაშტაბით.

**პარიზი.** 20 იან. „ტანი“ სწერს, რომ იმ დღეს, რა დღესაც ევროპის სახელმწიფონი მიიღებენ რუსეთისაგან მტკიცე გარანტიებს, მაშინ ყველა დაინახავს, რომ რუსეთსა და საფრანგეთის შორის სრული თანხმობა და ნორმალური ურთიერთობა დამყარდება.

**პარიზი.** 20 იან. „ტანი“ სწერს, რომ რუსეთის მთავრობას კიდევ აქვს დრო განცხადებისა, რომ მისი პრინციპები ნებას არ აძლევს მას ერთ მაგიდაზე იმუშაოს გენუაში ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან და თუ იგი მივა იქ, მივა იმიტომ, რომ მსოფლიოს გააგონოს რევოლიუციის ხმა. რუსეთის მთავრობას ასეთი განზრახვა აქვს—იგი იქნება მოსმენილი, მაგრამ იგი არ იქნება დაშვებული, როგორც კონფერენციის მონაწილე. თუ რუსეთისთვის კანის რეზოლიუციაც ფარატინა ქ-ღალდია, იმ შემთხვევაში მასთან ლაპარაკი შეთანხმებაზე ზედმეტია.

მაგრამ რუსეთის თანხმობა კონფერენციაში მონაწილეობისათვის, თავის თავად ჰგულისხმობს კანის პირობების მიღებას.

**პარიზი.** 4 თებ. გაფიცვა რკინისგზელთა გერმანეთში სერიოზულ ხასიათს ღებულობს. გაფიცულია 99 პროცენტი ორთქმავლის მემანქანეთა და 97 პრ. მათ თანაშემწეთა. აგრეთვე სხვა მუშა-მოსამსახურენი.

**ბორდო.** 3 თებ. ლონდონსა, პარიზსა და რომს შორის არის ნოტების გაცვლა, რომლის მიზანია წინასწარი შეთანხმება ახლოსავლეთის საკითხში.

# რუსეთი

**მოსკოვი.** 3 თებ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა გაუგზავნა ინსტრუქცია საბჭოთა წარმომადგენლებს ლონდონსა, რომსა და ბერლინში, რომელთაც ევალებათ გამოარკვიონ გაუგებრობანი, რომელიც გამოიწვია ფართო წრეებში, იტალიის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრის ცნობამ, რომ გენუას კონფერენციაზე მოწვეული არიან ყველა ევროპიული ნაცნობი წარმომადგენლობა; რომ ეს ცნობა მიღებულ იქნა ზოგიერთ წრეებში, რომ მიწვეული არიან ქართველი მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატისტები, პეტლიურა, დენიკინი, რომელთა მთავრობები ნაცნობი იყო. რადგან ამ მთავრობათა ცნობა შემდეგში, როდესაც აღარ არსებობდენ, არ იყო გაუქმებული, ამიტომ, საბჭოთა წარმომადგენლებს ევალებათ სასწრაფოთ მიიღონ ზომები ამ გაუგებრობის გამოსარკვევათ. თავისთავად იგულისხმება, რომ საბჭოთა მთავრობას არას შემთხვევაში არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაზე, თუ მოწვეულთა შორის აღმოჩნდენ კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციები და ისეთი ემიგრანტები, როგორიც დენიკინი და პეტლიურაა ან და ყოფილი, მაგრამ ახლა არ არსებული კავკასიის მთავრობათა წევრები.

**მოსკოვი.** გაზ. „ჟურნალის“ ლონდონელი კორესპონდენტი იძლევა დაწვრილებით ცნობებს ინგლისის შესაძლებელ პოზიციის შესახებ საბჭოთა მთავრობის მიმართ. ინგლისის აზრით, გენუას კონფერენცია უნდა გაიხსნას კანის რეზოლიუციების წინასწარ მიუღებლად, მხოლოდ კონფერენციის გახსნის შემდეგ, რუსეთის დელეგაციას უნდა მიეცეს კითხვა, იღებს თუ არა ის, კანის პირობებს, ამასთანავე გამოუცხადებენ რწმენას, რომ რუსეთი არ წარმოადგენს დაბრკოლებას ამ პირობების მიღებისათვის პრინციპიალურათ, თუ სხვა სახელმწიფოებიც მიიღებენ განსაზღვრულ პირობებს. რუსეთის პირველი პირობა ვალებს ეხება; რის გამოც რუსეთის დელეგატები მოითხოვენ, რომ მათ ძიერ ვალების აღიარების მაგივრად იმ ზარალის ანაზღაურებაც, რომელიც რუსეთს მოაყენა სამოქალაქო ომმა. ინგლისური [illegible] პირობა მიღებულ იქნება და [illegible] [illegible] ნიხილავს. რუსეთის მეორე პირობა იქნება მისი იურიდიულათ ცნობა. ამ საკითხის შესახებ, გაზეთის აზრით, ინგლისში ძლიერი მიმდინარეობაა რუსეთის სასარგებლოთ ცნობის სასარგებლოთ, მეორე მხრით ინგლისის საკმაო წრეები მოითხოვენ, რომ სანამ იცნობდნენ საბჭოთა მთავრობას, ამ უკანასკნელმა უნდა გამოარკვიოს თავის დამოკიდებულება კაპიტალისტურ სისტემასთან და უნდა იკისროს კაპიტალისტების უფლების პატივისცემა რუსეთში, ამ შეხედულების არიან ის ჯგუფები, რომელთაც დიდი ინტერესები აქვთ რუსეთში და სარგებლობენ მნიშვნელოვანი გავლენით.

# თეატრი და ხელოვნება

**სახელმწიფო ოპერა „ევგენი ონეგინი“.**

იანვრის 30 დადგმული ოპერა „ევგენი ონეგინი“ აუცილებლად ერთ ერთ მოხდენილად ჩატარებულ ოპერად უნდა ჩაითვალოს. ოპერა შესამჩნევია—აქ შეერთებულია ორი უკვდავი ტალანტის შემოქმედება: პუშკინის და ჩაიკოვსკის. შემსრულებლებიც საუკეთესონი იყვნენ: მოქ. ბოკოვა, იანსა, სარაჯიშვილი, ინაშვილი, შარაშიძე.

აუდიტორიის ყურადღების ცენტრი (მე ვამბობ შეგნებულ ინტელიგენტურ აუდიტორიაზე და არა მასაზე) მიქცეული იყო ტატიანის პარტიის შემსრულებელ მოქ. ბოკოვასკენ და სამართლიანადაც. მომღერალ ქალს, პარტია ხელოვნურად აქვს დამუშავებული. ტფილისის სცენაზე ტატიანის პარტიის ერთ ერთ საუკეთესოდ შემსრულებლად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით სცენიური გადმოცემის მხრივ. აქ ძვირფასი არის ის, რომ მისი განცდა ჭეშმარიტია და არა მხოლოდ როლის შესრულება. არც ერთი ზედმეტი გაქნევა, არც ერთი პოზა,—ყველაფერი მხატვრულია.

ვოკალური გადმოცემა ვერ არის სცენიურისთანა, მაგრამ შესამჩნევი შკოლა მისი მუსიკალობა და საქმისადმი ინტელიგენტური მოპყრობა ფარავს ხმის ზოგიერთ დეფექტებს.

მოქ. სარაჯიშვილი თანდათან უფრო სერიოზულად კიდებს ხელს საქმეს, რაც მეტად სასიამოვნოა. ლენსკის პარტია კარგათ აქვს დამუშავებული. სიმღერაში და სცენიურ გადმოცემაში ბევრი გრძნობა და ტემპერამენტია. აღსანიშნავია პირველი არიოზო („მე თქვენ მიყვარხართ ოლღა), მთელი სცენა ლარინებთან, მხოლოდ სცენა (თქვენს სახლში თითქო ოქროს სიზმრებია) უფრო ცოცხალ tempo-თი უნდა ჩატარდეს, რადგან ეს მეტად რეალური იქნება ლენსკისთან უსიამოვნებით აღელვებულ ადამიანისთვის. შემდეგ არია დუელის წინ შესრულებულ უნდა იქნას დამჯდარი და არა ავანსცენაზე უსარგებლო მანიპულიაციებით ეს ხომ სასიკვდილოთ განმზადებულ პოეტის მგოსნის სიმღერაა, მასში მეტი ლირიზმია საჭირო.

ონეგინი—მოქ. ინაშვილი კარგათ იმღერის, დაცულად უჭირავს სცენაზე თავი, მაგრამ არ მომწონს მისი პოზიროვკა ლენსკის გვამთან, საჭიროა მეტი სასოწარკვეთილების მიცემა და არა პოზა საოპერო შაბლონის მიხედვით.

მოქ. სარაჯიშვილმა და ინაშვილმა სასიამოვნოდ შეასრულეს კანონი (მტრები! დიდი ხანია?).

რა შესანიშნავი ხმა აქვს შარაშიძეს—მუსიკალობაც, საკმაო გრძნობაც. მოქ. იანსა—მოხუცი ძიძის ნამდვილ სახეს იძლევა, შესრულებაც კარგია.

ორკესტრი ცდილობს (ონეგინის არიოზო, პოლონეზი—ყოველ კის არა სწორია) ხორო ტუტში ხშირად ფალშს იძლევა.

პ. ბ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი